აღმოსავლეთ
ევროპის
უნივერსიტეტი

გზამკვლევი

EEU-ს სტუდენტებისთვის

გზამკვლევის მიზანია EEU-ს სტუდენტების ინფორმირებას სასწავლო პროცესზე, საუნივერსიტეტო ცხოვრებაზე და იმ შესაძლებლობებზე, რომლებსაც სთავაზობს თავის სტუდენტებს EEU

სარჩევი

EEU-ს შესახებ 3

ისტორია 3

მისია 3

ფაქტები და სტატისტიკური მონაცემები 4

ფაკულტეტები და საგანმანათლებლო პროგრამები 4

საერთაშორისო პარტნიორი უნივერსიტეტები 6

საერთაშორისო პარტნიორი ორგანიზაციები 6

ინფრასტრუქტურა 7

სასწავლო პროცესი 9

სასწავლო პროცესის ვადები და სემესტრები 10

ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია 10

სტუდენტის სტატუსი (შეჩერება, აღდგენა, შეწყვეტა) 12

დამატებით კრედიტი და სემესტრი 14

სად შეიძლება დავწერო განცხადება 15

ცნობის გაცემის პროცედურები 15

შეფასება და აპელაციის პროცედურები 16

მობილობა 18

გამოცდები 19

კვალიფიკაციის მინიჭება, დიპლომის/სერტიფიკატის გაცემა 23

სტუდენტის სასწავლო პროცესის მართვის ელ-სისტემა: EEU-EL 24

სტუდენტური სერვისები 31

სტუდენტის უფლება-მოვალეობები და ომბუდსმენის ოფისი 32

სტუდენტური თვითმმართველობა, კლუბები და საბჭოები 38

საკონსულტაციო სერვისები 40

კარიერული მხარდაჭერისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების სერვისები 42

გაცვლითი პროგრამები, Erasmus+ 43

ფინანსური მხარდაჭერის სერვისები (სტიპენდია, კვლევით და სტუდენტური პროექტების გრანტი, სწავლის საფასურის ეტაპობრივად გადახდის სისტემა) 43

სამედიცინო მომსახურებისა და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის სერვისები 44

ხელმისაწვდომობაზე მიმართული სერვისები - ინდივიდუალური სასწავლო გეგმა 45

დისტანციური სწავლების სერვისები 45

სტუდენტური ცხოვრება 45

ბიბლიოთეკა 48

თავი 1

EEU-ს შესახებ

- ისტორია
- მისია და ღირებულებები
- ფაქტები და სტატისტიკური მონაცემები
- ფაკულტეტები და საგანმანათლებლო პროგრამები
- საერთაშორისო პარტნიორი უნივერსიტეტები და ორგანიზაციები
- ინფრასტრუქტურა

EEU-ს შესახებ

სახელწოდება: შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი (East European University, LLC)

აკრონიმი: EEU

ტიპი: კერძო უნივერსიტეტი

დაარსების თარიღი: 2012

EEU-ს დევიზია: მიიღე ცოდნა, რომელსაც რეალურად გამოიყენებ!

ვებგვერდი: https://eeu.edu.ge/

ელ-ფოსტა: info@eeu.edu.ge

ტელეფონი: (032) 2 48 01 41

Facebook: https://www.facebook.com/EEUniversity, **Instagram**: eeu.edu.ge

Youtube: https://www.youtube.com/@eeuchannel7629

Tiktok: EEUniversity

Linkedin: https://ge.linkedin.com/company/eeuniversity

ისტორია

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი (EEU) არის კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც დაარსდა და მიიღო ავტორიზაცია 2012 წელს. 2015 წელს უნივერსიტეტმა ხელმეორედ გაიარა ავტორიზაცია სადოქტორო საფეხურის დამატების მიზნით და მიენიჭა უნივერსიტეტის სტატუსი. ამჟამად უნივერსიტეტი ახორციელებს საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო, მასწავლებლის მომზადებისა და ერთსაფეხურიან საერთაშორისო და ეროვნული აკრედიტაციის მქონე უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებს იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და ინჟინერიის, განათლების მეცნიერებებისა და ჯანდაცვის მეცნიერებათა ფაკულტეტებზე.

EEU წარმოადგენს განვითარებაზე ორიენტირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, მიზნად ისახავს სწავლებისა და კვლევის საერთაშორისო საგანმანათლებლო სტანდარტების დანერგვასა და მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო ცენტრის შექმნას საქართველოში.

მისია

- ✓ სწავლებისა და კვლევის განუყოფლობა, საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა, ქართულ და მსოფლიოს კულტურულ ღირებულებებზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

- ✓ უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პერსონალის მხარდაჭერა აკადემიური და მორალური განვითარებისა და სამოქალაქო წარმატების მიღწევაში მაღალი ხარისხის სწავლებისა და სამეცნიერო კვლევების უზრუნველსაყოფად.
- ✓ საკუთარი წვლილის შეტანა ქართული და საერთაშორისო საზოგადოების აკადემიური განათლებისა და ღირსების დამკვიდრებაში.

*აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის **ღირებულებები:***

ერთიანობა, პატივისცემა, თანაგრძნობა, მხარდაჭერა, კეთილსინდისიერება, აზროვნებისა და გამოხატვის თავისუფლება, თანამშრომლობა და კეთილგანწყობა

ფაქტები და სტატისტიკური მონაცემები

- **ინფრასტრუქტურა:** 2 სასწავლო კამპუსი, სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია - EEU-LAB, კაფეტერია, ბიბლიოთეკა, სპორტული მოედნები, რეკრეაციული სივრცეები; „საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი ღია გული"
- 4 **ფაკულტეტი,** 25 საგანმანათლებლო პროგრამა
- 6 **საერთაშორისოდ** აკრედიტებული პროგრამა (AQUIN)
- 3 **ორმაგი** დიპლომი იტალიის, პოლონეთისა და გერმანიის უნივერსიტეტებთან
- 500-ზე მეტი პარტნიორი **ორგანიზაციები,** პრაქტიკის ობიექტები
- მსოფლიოს 20 ქვეყნის 50-ზე მეტი **საერთაშორისო** პარტნიორი უნივერსიტეტები და ორგანიზაციები
- 450-მდე **პროფესორ-მასწავლებელი,** მათ შორის 20-ზე მეტი უცხოელი
- 1500-ზე მეტი **კურსდამთავრებული**
- 30-მდე მეტი **სამეცნიერო-კვლევითი გრანტი** (აშშ საელჩო, შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდი, შიდა საუნივერსიტეტო და სხვა გრანტი)
- 87% - პროფესიით **დასაქმებული** კურსდამთავრებული და შიდა საუნივერსიტეტო სტუდენტური სტაჟირების მონაწილე სტუდენტი - 50-ზე მეტი
- **გაცვლით პროგრამის** მონაწილეა აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების 15%
- 23 - საერთაშორისო **სამეცნიერო ბაზები**
- 12391-ზე მეტ **ბიბლიოთეკის** წიგნადი ფონდი

ფაკულტეტები და საგანმანათლებლო პროგრამები

ფაკულტეტები

საგანმანათლებლო პროგრამები

საბაკალავრო პროგრამები

- სამართალი
- ფსიქოლოგია
- საერთაშორისო ურთიერთობები
- საჯარო მმართველობა **(3-წლიანი, 180 ECTS)**
- არქიტექტურა
- ბიზნესის ადმინისტრირება **(3-წლიანი და 4-წლიანი)**
- ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი)
- სკოლამდელი განათლება
- საექთნო საქმე (ინგლისურენოვანი)

სამაგისტრო პროგრამები

- სამართალი
- საჯარო მმართველობა
- განათლების კვლევები და ადმინისტრირება
- ადამიანური რესურსების მართვა
- ბიზნესის ადმინისტრირება ფინანსებში **(1-წლიანი, 70 ECTS)**
- ბიზნესის ადმინისტრირება ფინანსებში **(2-წლიანი)**
- ბიზნესის ადმინისტრირება ფინანსებში (ინგლისურენოვანი, **1-წლიანი 70 ECTS და 2-წლიანი**)
- ურბანული დაგეგმარება
- ციფრული მენეჯმენტი (ინგლისურენოვანი)

ერთსაფეხურიანი

- დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი პროგრამა (ინგლისურენოვანი)

სადოქტორო პროგრამები

- სამართალი
- ბიზნესის ადმინისტრირება
- განათლების მეცნიერებები (ინგლისურენოვანი)

მასწავლებლის მომზადების 1 წლიანი საგანმანათლებლო პროგრამა:

- ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი
- ინგლისური ენის მასწავლებელი
- სამოქალაქო განათლება
- მათემატიკა

საერთაშორისო პარტნიორი უნივერსიტეტები



საერთაშორისო პარტნიორი ორგანიზაციები

- **eua** — ევროპის უნივერსიტეტების ასოციაცია (EUA)
- **EPLO** European Public Law Organization — ევროპის საჯარო სამართლის ორგანიზაცია (EPLO)
- **ELFA** European Law Faculties Association — ევროპის იურიდიული ფაკულტეტების ასოციაცია (ELFA)
- **AdvanceHE** — დიდი ბრიტანეთის უმაღლესი განათლების აკადემია
- **ASPHER** — ევროპის რეგიონის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლების ასოციაცია (ASPHER)
- **euacde** — ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის სადოქტორო განათლების საბჭო (EUA-CDE)
- **amee** — სამედიცინო განათლების საერთაშორისო ასოციაცია (AMEE)
- **WES** WORLD EDUCATION SERVICES — აშშ–ს მსოფლიო განათლების მომსახურების ორგანიზაცია
- **AMSE** — სამედიცინო სკოლების ასოციაცია ევროპაში (AMSE)
- **vitae** realising the potential of researchers — დიდი ბრიტანეთის მკვლევართა პოტენციალის განმახორციელებელი პროგრამა
- **World Health Organization** — ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO)
- **UNIVERSEA-NET** — შავი ზღვის რეგიონის უნივერსიტეტის თანამშრომლობის ქსელი
- **World Directory of Medical Schools** — სამედიცინო სკოლების მსოფლიო კატალოგი
- **euraxess georgia** — EURAXESS – საქართველო
- **National Medical Commission** — ეროვნული სამედიცინო კომისია (NMC)

ინფრასტრუქტურა

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს აქვს ორი თანამედროვე სასწავლო კამპუსი თბილისში, საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი ,,ღია გული'', კვლევითი კამპუსი, კაფეტერია, სპორტული მოედნები და სხვა რეკრეაციული სივრცეები; უნივერსიტეტის კამპუსები სრულად არის აღჭურვილი თანამედროვე ინფრასტრუქტურით, რომელიც საჭიროა ხარისხიანი სწავლებისა და კვლევის განხორციელებისთვის. ამასთანავე, სრულად არის აღჭურვილი უსაფრთხოების, გათბობა-გაგრილების ცენტრალური სისტემით, მუდმივი ცივი და ცხელი წყლით, სავენტილაციო არხებითა და სახანძრო უსაფრთხოების სისტემებით, ადაპტირებულია სსსმ პირთათვის.

სასწავლო-ადმინისტრაციული კამპუსები:

- აუდიტორიები და სამუშაო ოთახები;
- საკონფერენციო და მეხვედრების დარბაზები;
- კომპიუტერული უნარ-ჩვევების კლასები;
- ბიბლიოთეკები;
- იმიტირებული სასამართლო პროცესის დარბაზი;
- კლინიკურ და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების ცენტრი;
- საპროფესორო და სტუდენტთა ჯგუფური მუშაობის სივრცეები;
- ადმინისტრაციული ოფისები;
- რეცეფცია და ფოიე;
- ექიმის კაბინეტი;
- სანიტარული კვანძები ყველა სართულზე;

ბიბლიოთეკა

- 160 კვ.მეტრზე განთავსებულია თანამედროვე ინვენტარითა და ტექნოლოგიებით აღჭურვილი მუშის ორდონიანი (ანტრესორით) ბიბლიოთეკა;
- სამკითხველო დარბაზები
- წიგნთსაცავი
- კომპიუტერული და ჯგუფური მუშაობის სივრცეები საბიბლიოთეკო სერვისები (ელექტრონული კატალოგი, საერთაშორისო ბაზები, ქსეროქსი, სკანერი, ყველა საავალდებულო და დამხმარე ლიტერატურით და ა.შ.)
- სამუშაო დღეები: ორშაბათი-შაბათი;

საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი ღია გული

- მულტიპროფილური სამედიცინო ცენტრი რეკონსტრუირებული მსოფლიოს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად;
- 580-მდე პროფესიონალი კვალიფიციური სამედიცინო პერსონალი
- კლინიკის აღჭურვილობა და დეპარტამენტები: მსოფლიოში წამყვანი წარმოებლების მიერ მოწოდებული უახლესი სამედიცინო აპარატურა, 7 საოპერაციო ბლოკი, 260 საწოლიანი, მაღალტექნოლოგიური ლაბორატორია, მიმღები, რეანიმაცია, გადაუდებელი მედიცინის, თერაპიის, კარდიოლოგიის, ანესთეზიოლოგიის, ნევროლოგიის, ბავშვთა და მოზრდილთა ფსიქიატრიის, დიალიზის, ხელოვნური განაყოფიერების, სტომატოლოგიის და ა.შ. დეპარტამენტები;

კვლევითი და სამედიცინო ცენტრის კამპუსი:

- ფსიქოლოგიისა და ნეირო-მეცნიერების კვლევითი ცენტრი - ლაბორატორია Z, რომელიც აღჭურვილია მაღალ-ტექნოლოგიური ქცევისა და ნეირო-მარკეტინგის შემსწავლელი აპარატურით;
- ფიზიკური, მენტალური და სოციალური კეთილდღეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი
- ვარლამ ჩერქეზიშვილის სახელობის ინტერდისციპლინური კვლევების ცენტრი
- სახელმწიფოსა და სამართლის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი
- არქიტექტურის კვლევითი-საპროექტო ბიურო
- გამოყენებითი კვლევების მრავალფუნქციური ცენტრი, რომელიც მოიცავს ბიზნეს აქსელერატორს, ბიზნესის პრობლემათა პლატფორმასა და მასთან ინტეგრირებულ საკომუნიკაციო - საინფორმაციო ქსელს
- სიმულაციური ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე სასწავლო მულაჟებით/მანეკენებით, მოდელებით, პაციენტის გამოკვლევისა და სხვადასხვა კლინიკური მანიპულაციების ჩატარებისთვის საჭირო მასალითა და სამედიცინო იარაღები;
- ანატომიის კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია ,,ინტერაქტიული ანატომიური მაგიდით;
- ქიმიისა და ბიოქიმიის ლაბორატორია;
- მიკრობიოლოგიის ლაბორატორია;
- ჰისტოლოგიისა და უჯრედული ბიოლოგიის ლაბორატორია;
- ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური ამოცდის (OSCE) სადგურები.

სპორტული და სარეკრეაციო სივრცეები

- 4000 m^2-ზე მეტი სარეკრეაციო სივრცე
- ღია სივრცე ღონისძიებებისთვის
- ფეხბურთისა და კალათბურთის სპორტული მოედანი
- ჭადრაკის, ტენისის და სხვა სპორტული შიდა აქტივობებისთვის სივრცე

3D ტური

კაფეტერია

თანამედროვე კაფეტერია ღია ტერასით

Library

East European
University

East
European
University

თავი 2

სასწავლო პროცესი

- სასწავლო პროცესის ვადები და სემესტრები
- ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია
- სტუდენტის სტატუსი (აღდგენა, შეჩერება, შეწყვეტა)
- დამატებით კრედიტი და სემესტრი
- სად შეიძლება დავწერო განცხადება
- სტუდენტისთვის ცნობის გაცემის პროცედურები
- შეფასება და აპელაციის პროცედურები
- მობილობა
- გამოცდები
- კვალიფიკაციის მინიჭება, დიპლომის გაცემა

სასწავლო პროცესის ვადები და სემესტრები

ყოველი სასწავლო წლისთვის სასწავლო პროცესის ვადები (ინფორმაცია ყოველსემესტრულ რეგისტრაციაზე, სალექციო და საგამოცდო პერიოდზე, არდადეგებზე) ქვეყნდებაუნივერსიტეტის ვებ-გვერდზე:
ob. ბმული: https://eeu.edu.ge/

სასწავლო წელი იყოფა სემესტრებად

- ✓ თითოეული სემესტრის ხანგრძლივობაა 19 კვირა, რომელიც მოიცავს სააუდიტორიო მეცადინეობებს, შუალედურ და დასკვნით გამოცდებს;
- ✓ შუალედური გამოცდები ინიშნება მე-8 და მე-9 კვირებში;
- ✓ საგამოცდო სესიები იწყება სააუდიტორიო მეცადინეობების დასრულების შემდეგ და გრძელდება 3 კვირის განმავლობაში ძირითადი გამოცდები, 2 კვირის განმავლობაში – დამატებითი გამოცდები;
- ✓ პროგრამის სპეციფიკისა და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისად, შესაძლოა რექტორის ბრძანებით განისაზღვროს ზამთრისა და ზაფხულის სემესტრების ვადები;

ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია

- *სასწავლო პროცესში მონაწილეობის უფლების მოპოვების მიზნით უნდა გაიაროთ ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია ყოველი სემესტრის დაწყებამდე.*
- ***ადმინისტრაციული რეგისტრაცია** გულისხმობს თქვენ მიერ სწავლების სემესტრული საფასურის დადგენილ ვადებში სრულად გადახდას ან ინდივიდუალური გადახდის გრაფიკის შედგენას.*
- ***აკადემიური რეგისტრაცია** გულისხმობს სტუდენტის მიერ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში (EEU-EL) საკუთარ გვერდზე შეთავაზებულ სასწავლო კურსებზე არჩევანის გაკეთებას ან ფაკულტეტის ადმინისტრაციის მიერ სტუდენტის სასწავლო გზაში სასწავლო კურსების დაფიქსირებას. აკადემიური რეგისტრაციის გასავლელად ჯერ უნდა გაიაროთ ადმინისტრაციული რეგისტრაცია.*
- *ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაციის ვადების შესახებ იხილეთ აკადემიური კალენდარი*

სწავლის საფასურის გადახდის ეტაპობრივი სისტემა:

ადმინისტრაციული რეგისტრაციის გასავლელად სტუდენტს შეუძლია სემესტრული საფასური გადაიხადოს სრულად, ან გადაიხადოს **50 % (ნახევარი)** და ისარგებლოს სწავლის საფასურის გადახდის ინდივიდუალური გრაფიკით.

კერძოდ, **დარჩენილი ნაწილი სრულად დაფაროს სააუდიტორიო მეცადინეობების დაწყებიდან არაუგვიანეს VII კვირაში,** ან გადაიხადოს დარჩენილი ნაწილის ისევ ნახევარი (50%) და ბოლო მესამე ნაწილი დაფაროს შემოდგომის სემესტრის შემთხვევაში 10 დეკემბრამდე, ხოლო გაზაფხულის სემესტრის შემთხვევაში **10 მაისამდე.** აღნიშნული გადანაწილების გრაფიკით მოსარგებლე სტუდენტს, ინფორმაცია აესახება EEU-EL სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში ავტომატურად.

სწავლის საფასურის გადახდა შესაძლებელია **TBC, „საქართველოს ბანკის", „პროკრედიტ ბანკის" ნებისმიერ ფილიალში, ასევე ფეიბოქსის აპარატებიდან (NOVA, TBC Pay),**

იხილეთ რეკვიზიტები:

„პროკრედიტ ბანკის" რეკვიზიტები	„საქართველოს ბანკის" რეკვიზიტები	TBC ბანკის რეკვიზიტები:
• ს/კ: 400028849 • ბანკის კოდი MIBGGE22 • მიმღების დასახელება: შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი • მიმღების ანგარიშის ნომერი: GE12PC0133600100068786	• ს/კ: 400028849 • ბანკის კოდი BAGAGE22; • მიმღების დასახელება: შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი • ანგარიშის ნომერი: GE59BG0000000697402200	• ს/კ 400028849 • ბანკის კოდი: TBCBGE22 • მიმღების დასახელება: შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი • ანგარიშის ნომერი: GE39TB7999936020100002

ინფორმაცია სტუდენტის მიერ გადახდილი სწავლის საფასურის შესახებ:

ფინანსური ინფორმაციის (სწავლის სემესტრული საფასური, გრანტის ოდენობა, გადასახდელი თანხის ოდენობა, გადახდის გრაფიკი) ნახვა სტუდენტს შეუძლია სასწავლო პროცესის მართვის **ელექტრონულ სისტემაში _ EEU-EL,** მთავარ გვერდზე (ძირითად პანელზე) ღილაკის **ფინანსები** მონიშვნით.



სტუდენტის სტატუსი (შეჩერება, აღდგენა, შეწყვეტა)

სტუდენტის სტატუსის შეჩერება:

- სტუდენტის სტატუსის შეჩერება გულისხმობს უნივერსიტეტისა და სტუდენტის უფლებამოვალეობების შესრულებისაგან დროებით, სტატუსის შეჩერების ვადით, გათავისუფლებას. სტატუსის შეჩერების განმავლობაში ასევე შეჩერებულია უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის გაფორმებული საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულების მოქმედება.
- სტუდენტის სტატუსის შეჩერების **საფუძვლებია**:

  ა) პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე);

  ბ) ადმინისტრაციული რეგისტრაციის დადგენილ ვადაში გაუვლელობა;

  გ) აკადემიური რეგისტრაციის დადგენილ ვადაში გაუვლელობა;

  დ) ფინანსური დავალიანება/ფინანსური შეთანხმების დარღვევა;

  ე) უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა (გარდა გაცვლითი პროგრამის ფარგლებში პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლისა);

  ვ) აკადემიური რეგისტრაციის გავლიდან 45 კალენდარული დღის განმავლობაში სასწავლო კომპონენტის სულ მცირე ერთ კომპონენტში შეფასების არმიღება ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხული უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის/მოქალაქეობის არმქონე პირთათვის.

  ზ) ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება;

  თ) მოქმედი კანონმდებლობით, ,,დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტით“, ,,სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებით“, ,,პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილებისა და პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების წესით“ და საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა გარემოებები;“

- სტატუსის შეჩერების მოთხოვნით სტუდენტი უფლებამოსილია, განცხადებით მიმართოს უნივერსიტეტის რექტორს სასწავლო პროცესის დაწყებიდან არაუგვიანეს **4 (ოთხი)** კვირის განმავლობაში.
- სტუდენტს უცვლელად უნარჩუნდება სწავლის წლიური საფასური პროგრამით გათვალისწნებული სტანდარტული ხანგრძლივობით. აღნიშნული ვადის დენა არ ჩერდება სტუდენტის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში. მითითებული ვადის ამოწურვის შემდეგ, სტუდენტის სწავლის საფასური განისაზღვრება უნივერსიტეტის მიერ მიმდინარე წელს დადგენილი ტარიფით.

- სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადაა ჯამში 5 წელი. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ სტუდენტს შეუწყდება სტუდენტის სტატუსი;

სტუდენტის სტატუსის აღდგენა:

- სტუდენტი უფლებამოსილია პირადი განცხადებით აღიდგინოს სტუდენტის სტატუსი (გარდა ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობის შემთხვევაში სტატუსის შეჩერებისა, ასეთ შემთხვევაში, სტუდენტი რომელიც არ გაივლის ადმინისტრაციულ რეგისტრაციას ე. ი. არ გადაიხდის სწავლის დადგენილ საფასურს უჩერდება სტუდენტის სტატუსი უნივერსიტეტის მიერ, ხოლო აღნიშნული ფინანსური დავალიანების დაფარვის შემთხვევაში უნივერსიტეტი სტატუსს აღუდგენს სტუდენტს მისი პირადი განცხადების გარეშე (სტატუსის აღდგენის ნების გამოვლენად მიიჩნევა მისი მიერ დადგენილი სწავლის საფასურის უნივერსიტეტის საბანკო ანგარიშზე გადარიცხვა).
- ფინანსური დავალიანება/ფინანსური შეთანხმების დარღვევა) საფუძველზე სტატუსის შეჩერების შემთხვევაში, სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია, შეჩერებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში დარჩენილი საფასურის სრულად დაფარვის შემთხვევაში ან მომდევნო სემესტრიდან, ადმინისტრაციული რეგისტრაციისთვის დადგენილ ვადებში სემესტრული საფასურის დარჩენილი ნაწილის გადახდის შემთხვევაში;

სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა:

- სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებია:
  ა)პირადიგანცხადება;
  ბ) ჯამში 5 წლის განმავლობაში სტუდენტის სტატუსის შეჩერება, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა;
  გ) დაწესებულებისთვის ყალბი დოკუმენტის ან არასწორი ინფორმაციის წარდგენა, რომელმაც გავლენა იქონია ჩარიცხვის შესახებ დადებითი გადაწყვეტილების მიღებაზე;
  დ) ქცევის (ეთიკის) კოდექსით დადგენილი უხეში დარღვევა, რაც დასტურდება ამავე კოდექსით დადგენილი დისციპლინური/ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით;
  ე) სწავლების ხანგრძლივობის დამატებითი ვადის გასვლა პროგრამის დასრულების გარეშე
  ვ) ერთსა და იმავე სავალდებულო სტატუსის მქონე სასწავლო კურსში სამჯერ უარყოფითი საბოლოო შეფასების მიღების გამო კრედიტის ვერ მოპოვება.
  ზ) მობილობის წესით სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლა;
  თ)გარდაცვალება ან კანონმდებლობით დადგენილი წესით გარდაცვლილად გამოცხადება;
  ი) ,,დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტით“, ,,სადისერტაციო საბჭოსა და

დოქტორანტურის დებულებით“, „პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილებისა და პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების წესით“ გათვალისწინებული სხვა შემთხვევები;

სტუდენტის სტატუსშეწყვეტილ პირს არ უბრუნდება სწავლის გადახდილი საფასური, გარდა იმ შემთხვევისა, როცა სტუდენტს სტატუსი შეუწყდა პირადი განცხადებით იმ მიზეზით, რომ უარი ეთქვა საქართველოს ვიზის გაცემაზე.

დეტალური ინფორმაცია სტუდენტის სტატუსის შესახებ
იხილეთ: https://eeu.edu.ge/portfolio/studregulaciebi/

დამატებით კრედიტი და სემესტრი

დამატებითი სემესტრი

- სტუდენტს, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილ ვადებში ვერ ასრულებს პროგრამას და ვერ მოიპოვებს შესაბამის ხარისხს, უფლება აქვს თვითდაფინანსებით განაგრძოს სწავლა მომდევნო **ოთხი** სემესტრის მანძილზე.
- **დამატებითი სემესტრში რეგისტრირებული სტუდენტისთვის სემესტრული დატვირთვა განისაზღვრა არანაკლებ 30 კრედიტით,** გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, 30 კრედიტზე ნაკლების დარეგისტრირებას სტუდენტი შეძლებს, თუ საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა არ იძლევა სრულად დატვირთვის შესაძლებლობას ან დარჩენილი აქვს კრედიტების სრულ სემესტრულ დატვირთვაზე ნაკლები რაოდენობა.
- დამატებით სემესტრში რეგისტრირებული სტუდენტის სწავლის საფასური განისაზღვრება ასათვისებელი სასწავლო კურსების კრედიტების ღირებულების შესაბამისად.
- **დამატებითი სემესტრში დარეგისტრირებისთვის სტუდენტმა უნდა დაწეროს განაცხადება სასწავლო პროცესის მართვის ელ-სისტემაში (EEU-EL) არაუგვიანეს აკადემიური რეგისტრაციისთვის დადგენილ ვადებში.** ფაკულტეტის პროგრამების კოორდინატორთან კონსულტაციის შემდეგ, სტუდენტმა ამავე რეგისტრაციის ვადებში უნდა გადაიხადოს დამატებით სემესტრში სწავლის საფასური, რათა არ შეუჩერდეს სტუდენტის სტატუსი.

დამატებითი კრედიტი

- **დამატებითი კრედიტის დარეგისტრირებისთვის სტუდენტმა უნდა დაწეროს განაცხადება სასწავლო პროცესის მართვის ელ-სისტემაში (EEU-EL) არაუგვიანეს აკადემიური რეგისტრაციისთვის დადგენილ ვადებში.** პროგრამების კოორდინატორთან კონსულტაციის შემდეგ, ამავე რეგისტრაციის ვადებში უნდა გადაიხადოს დამატებითი კრედიტის საფასური, წინააღმდეგ შემთხვევაში, სტუდენტი ვერ შეძლებს დამატებითი კრედიტის დარეგისტრირებას.

- ერთი კრედიტის ღირებულება ანგარიშდება ფორმულით: საგანმანათლებლო პროგრამის ღირებულება გაყოფილი პროგრამის მოცულობაზე (მაგ. 2250 ლარი/60 კრედიტზე).

გაითვალისწინეთ!

- უნივერსიტეტში ერთი კრედიტი მოიცავს სტუდენტის სასწავლო საქმიანობას (სტუდენტის დატვირთვას) 25 ასტრონომიული საათის განმავლობაში და აერთიანებს როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელ საათებს;
- საკონტაქტო საათი არის პროფესორ-მასწავლებელთა ჩართულობით სტუდენტის სასწავლო საქმიანობისთვის განსაზღვრული დრო, ხოლო დამოუკიდებელი საათი არის პროფესორ-მასწავლებელთა ჩართულობის გარეშე, დამოუკიდებლად, სტუდენტის სასწავლო საქმიანობის დრო;
- სტუდენტის დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში მოიცავს საშუალოდ 60 კრედიტს.
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის თავისებურებების გათვალისწინებით, დასაშვებია, სტუდენტის წლიური დატვირთვა იყოს 60 კრედიტზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არაუმეტეს 75 კრედიტისა.
- დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შესაბამისი დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული ხანგრძლივობის, მოცულობისა და სტრუქტურის გათვალისწინებით სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა მოიცავს 60 (ECTS) კრედიტს. სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმით შეიძლება სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა განისაზღვროს 60-ზე მეტი კრედიტით, დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლით დადგენილი ხანგრძლივობის ფარგლებში 60-ს ზევით დამატებული კრედიტების საერთო რაოდენობა ჯამში არ უნდა აღემატებოდეს 15 კრედიტს.

სად შეიძლება დავწერო განცხადება

განცხადება შესაძლებელია დაიწეროს ელექტრონულად (EEU-EL) სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემიდან და ასევე, უნივერსიტეტში (სართული 1, რესეფშენი). ელექტრონულად EEU-EL-იდან განცხადების დაწერის ინსტრუქცია იხ. თავი 3-ში.

ცნობის გაცემის პროცედურები

სტუდენტს შეუძლია მოითხოვოს ცნობა:

ა) სტუდენტის სტატუსის შესახებ;

ბ) სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ (ფორმა 26);

გ) აკადემიური, გავლილი სასწავლო კურსების, მიღებული შეფასებებისა და მოპოვებული კრედიტების შესახებ;

დ) კვალიფიკაციის მინიჭების/პროგრამის დასრულების შესახებ;

ე) ინვოისი;

ვ) საგამოცდო განრიგი;

ზ) სხვა

სტუდენტმა პირადი სასწავლო პროცესის მართვის ელ-სისტემიდან - EEU-EL უნდა გამოაგზავნოს მოთხოვნა ცნობის დამზადების შესახებ, კატეგორიის მითითებით;

ადმინისტრაციისთვის შეტყობინების გასაგზავნად, ნებისმიერი ტიპის ცნობის დამზადებაზე განცხადების დასაწერად მთავარ გვერდზე (ძირითად პანელზე) შეარჩიეთ ღილაკი **„კორესპონდენციის სიმბოლო -** ”

შემდეგ შექმენით ახალი შეტყობინება და გამოსულ ფანჯარაში შეავსეთ შესაბამისი ველები; სურვილის შემთხვევაში შეგიძლიათ წერილს დანართად მიამაგროთ შესაბამისი დოკუმენტები ღილაკის მონიშვნით „ ფაილის არჩევა” და შემდეგ ღილაკი „ატვირთვა”



მოთხოვნის გამოგზავნიდან ორი სამუშაო დღის განმავლობაში სტუდენტი პირად გვერდზე მიიღებს შეტყობინებას ცნობის დამზადების შესახებ;

შეტყობინების მიღების შემდეგ, ცნობის მისაღებად სტუდენტმა უნდა მიმართოს რესეფშენს, სართული 1

! **ელექტრონულად ცნობის** მიღებისთვის კი საჭიროა წერილის/კორესპონდენციის შინაარსში მიუთითოთ, რომ გსურთ, ცნობის ელექტრონული ფორმატით მიღება და ცნობა აგეტვირთებათ EEU-EL სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში.

შეფასება და აპელაციის პროცედურები

- ✓ სტუდენტის მიღწევების შეფასება სასწავლო კომპონენტში ხორციელდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი შეფასების საფუძველზე, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).
- ✓ შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების კომპონენტები) მოიცავს

შეფასების მეთოდებს ანუ სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოსაყენებელ საშუალებას/საშუალებებს (ზეპირი/წერითი გამოცდა/გამოკითხვა, პროექტი, ტესტი, ესსე, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა, ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE), ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდა (OSPE), სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა და სხვ);

- ✓ შეფასების თითოეულ კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განესაზღვრება რაოდენობრივი მაჩვენებელი (გამოსახული პროცენტებში ან ქულებში) საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში;
- ✓ შუალედური და დასკვნითი გამოცდის ქულების რაოდენობა დგინდება შესაბამისი სასწავლო კურსის/საგნის სილაბუსით. დაუშვებელია დასკვნითი გამოცდის 40 ქულაზე მეტითა და 30 ქულაზე ნაკლებით შეფასება.

მიმდინარე შეფასებების, გამოცდის შედეგების ნახვა სტუდენტს შეუძლია პირად ელექტრონულ სისტემაში - EEU-EL, ,,სასწავლო ბარათის'' დეტალებში.

აპელაცია

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს აქვს აკადემიურ და ადმინისტრაციულ საკითხებთან დაკავშირებით გასაჩივრების სისტემა. კერძოდ, ნებისმიერი დარღვევის ფაქტზე სტუდენტს შეუძლია, წარადგინოს წერილობითი განცხადება/საჩივარი. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ აპელაციის ავტორმა დაასაბუთოს საკუთარი საჩივარი. აპელაციის ავტორს უფლება აქვს, მიიღოს სრული ინფორმაცია წარმოების დაწყებისა და საკითხის განხილვის პროცესის მიმდინარეობის შესახებ, დაესწროს საკითხის განხილვას, ისარგებლოს დაცვის უფლებით, წარადგინოს მის ხელთ არსებული მტკიცებულებები, წერილობითი ფორმით მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება, ასევე წარმოების განმახორციელებელი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება (ეთიკის კომიტეტი/აკადემიური კეთილსინდისიერების შემოწმების კომისია/დისციპლინური კომისია) გაასაჩივროს წარმომადგენლობით/ფაკულტეტის საბჭოში.

,,გამოცდების ჩატარების წესით'' დარეგულირებულია საგამოცდო ნაშრომის გასაჩივრების პროცედურები. სტუდენტი უფლებამოსილია, გაეცნოს შუალედურ/დასკვნით/დამატებით საგამოცდო ნაშრომს და, საჭიროების შემთხვევაში, გაასაჩივროს მიღებული შეფასება. საგამოცდო ნაშრომი აპელაციისთვის გადაეცემა პედაგოგს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი არ ეთანხმება აპელაციის შედეგს, ფაკულტეტის დეკანი ქმნის შესაბამის სააპელაციო კომისიას. სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის (EEU-EL)

მეშვეობით სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, გაგზავნონ განაცხადი **მიღებული შეფასების აპელაციის** მიზნით; აპელაციის ვადები და სხვა პროცედურები დეტალურადაა გაწერილი ,,გამოცდის ჩატარების წესში".

სტუდენტს ასევე შეუძლია, გაასაჩივროს დასკვნითი გამოცდის/სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის დაცვის შედეგები. კერძოდ, სტუდენტს შეუძლია გაასაჩივროს ნაშრომის დაცვის საბოლოო შეფასება ან სამაგისტრო ნაშრომის დაცვის რეგლამენტით გათვალისწინებული პროცედურული ნორმები, თუ მიიჩნევს, რომ იგი დარღვეულია. აპელაციის პროცედურებთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია იხ. ,,დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებაში'', მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მინიმალური სტანდარტში, სტუდენტის გზამკვლევში).

ასევე, ,,აკადემიური კეთილსინდისიერების კოდექსით'' განსაზღვრულია პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების სტუდენტის მიერ გასაჩივრების (აპელაციის) პროცედურები.

რაც შეეხება დისციპლინურ წარმოებაზე ფაკულტეტის საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, ოფიციალური გაცნობიდან 5 სამუშაო დღის ვადაში შესაძლებელია გასაჩივრდეს წარმომადგენლობით საბჭოში. დისციპლინურ წარმოებასთან დაკავშირებით აპელაციის პროცედურები რეგულირდება აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ქცევის (ეთიკის) კოდექსის მე-18 მუხლის შესაბამისად.

აპელაციის პროცედურებთან დაკავშირებით შემუშავებულია სტუდენტთა გზამკვლევები, ტარდება საინფორმაციო შეხვედრები, ინდივიდუალური კონსულტაციები.

დეტალურად იხ. https://eeu.edu.ge/portfolio/instruqciebi-tsesebi/

მობილობა

სტუდენტს შეუძლია ისარგებლოს შიდა/გარე მობილობით.

სტუდენტთა **გარე მობილობის (სხვა უნივერსიტეტში გადასვლა)** პროცესის ადმინისტრირებას ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – **განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა**

მობილობის უფლება ეძლევა სტუდენტს უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე სწავლებიდან ერთი წლის შემდეგ. სწავლების პერიოდში არ შედის ის დრო, რომლის განმავლობაშიც პირს შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი. მობილობა დასაშვებია წელიწადში ორჯერ – შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში.

ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების მიერ მობილობა შესაძლებელია მოპოვება ხორციელდება მიმღები დაწესებულების მიერ დადგენილი ჩარიცხვის წინაპირობების დაცვით. დეტალური ინფორმაცია იხილეთ ბმულზე

შიდა მობილობა გულისხმობს სტუდენტის მიერ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლას აკადემიური განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში.

შიდა მობილობა სტუდენტს შეუძლია განახორციელოს იმ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზეც აკმაყოფილებს პროგრამით განსაზღვრულ მიღების წინაპირობას.

შიდა მობილობით სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლისას სტუდენტის სწავლის საფასური განისაზღვრება მობილობით არჩეულ პროგრამაზე მისი ჩარიცხვის პერიოდისათვის დადგენილი ტარიფით.

შიდა მობილობა ცხადდება სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ, პროცედურა და ვადები ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე: https://eeu.edu.ge/

გამოცდები

უნივერსიტეტში წერითი შუალედური და დასკვნითი გამოცდები ტარდება ცენტრალიზებული სისტემით; გამოცდის მსვლელობისას სტუდენტთა ქცევის წესებზე დეტალური ინსტრუქცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე

იურიდიულ ცნობარში (https://eeu.edu.ge/portfolio/instruqciebi-tsesebi/) და საგამოცდო რვეულებში.

შუალედური, დასკვნითი/დამატებითი გამოცდების **განრიგი** ქვეყნდება უნივერსიტეტის ელექტრონულ სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში (EEU-EL) ,,ცხრილში''. სტუდენტი ვალდებულია, გამოცდაზე გამოცხადდეს მის ინდივიდუალურ სასწავლო ბაზაში მითითებულ დროს;

შუალედური გამოცდების განრიგი სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში – EEU-EL-ში ქვეყნდება სწავლის დაწყებიდან 7 კვირის ვადაში, ხოლო დასკვნითი გამოცდების განრიგი საგამოცდო პერიოდის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე;

- გამოცდის **აღდგენა/გადატანა** არ ხდება, გარდა საპატიო მიზეზის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენისა (ავადმყოფობა და სხვა გადაუდებელი აუცილებლობა);
- გამოცდაზე საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, წინასწარ დადგენილ ვადაში EEU-EL -ის მეშვეობით განცხადებით მიმართეთ, წერითი გამოცდის შემთხვევაში - საგამოცდო ცენტრს, ხოლო ფაკულტეტის მიერ ორგანიზებული ზეპირი გამოცდის შემთხვევაში - ფაკულტეტის დეკანს და წარადგინეთ უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული ცნობა/დოკუმენტი, რომელზეც მითითებული იქნება შესაბამისი პირის საკონტაქტო ინფორმაცია.
- საპატიო მიზეზის დადასტურების შემთხვევაში, საგამოცდო ცენტრის/ფაკულტეტის ადმინისტრაციის მიერ დაინიშნება გამოცდების აღდგენის განრიგი და გამოქვეყნდება EEU-EL-ში თქვენს პირად გვერდზე

დასკვნით/დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება

- დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება გაქვთ იმ შემთხვევაში, თუ შუალედური შეფასებებისათვის განსაზღვრული მაქსიმალური 70 ქულიდან დააგროვებთ არანაკლებ 26 ქულას, ხოლო მაქსიმალური 60 ქულიდან - არანაკლებ 21 ქულას (თუ საგნის სილაბუსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული).
- დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება ასევე გექნებათ იმ შემთხვევაში, თუ:

ა) თქვენი შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის ქულათა ჯამი შეადგენს 41 - 50 ქულას;

ბ) ვერ გადალახეთ დასკვნით გამოცდისათვის განსაზღვრული მაქსიმალური შეფასების 50% და თქვენ მიერ შუალედურ შეფასებათა და დასკვნითი გამოცდის ქულათა ჯამი შეადგენს არანაკლებ 41 ქულას.

შუალედური და დასკვნითი საგამოცდო ნაშრომის გაცნობა და გასაჩივრება

- გამოცდის შედეგის გამოქვეყნებიდან 2 დღის ვადაში შესაძლებლობა გაქვთ, EEU-EL - ის პირადი გვერდიდან განცხადებით მიმართოთ საგამოცდო ცენტრს და მოითხოვოთ წერითი ნაშრომის გაცნობა და შედეგების გადასინჯვა

- ნაშრომის გაცნობის შემდეგ, თუ არ დაეთანხმებით მიღებულ შეფასებას, შეგიძლიათ, მოითხოვოთ, ნაშრომი გადასინჯვის მიზნით გადაეცეს შესაბამისი სასწავლო კურსის პედაგოგს.
- პედაგოგი 2 სამუშაო დღის ვადაში საგამოცდო ცენტრს დაუბრუნებს აპელაციის საფუძვლები;
- აპელაციის შედეგები მიღებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღეში აისახება EEU-EL-ში;
- იმ შემთხვევაში, თუ კვლავ არ ეთანხმებით, აპელაციის შედეგს, უფლება გაქვთ, აპელაციის შედეგების გამოცხადებიდან 2 დღის განმავლობაში EEU-EL-ის საშუალებით, დასაბუთებული განცხადებით მიმართოთ საგამოცდო ცენტრს და მოითხოვოს ნაშრომის გასწორება სააპელაციო კომისიის მიერ;
- მიმართვის საფუძველზე, ფაკულტეტის დეკანი ქმნის შესაბამისი სასწავლო კურსის სააპელაციო კომისიას, რომელიც უფლებამოსილია, შეცვალოს თქვენი მიერ მიღებული შეფასება, რაც გეცნობებათ თქვენ და, ცვლილების შემთხვევაში, აისახება EEU-EL-ში.

გამოცდაზე სტუდენტთა ქცევის წესები

- გამოცდაზე უნდა გამოცხადდეთ მითითებული განრიგის მიხედვით, გამოცდის ჩატარების ადგილზე;
- გამოცდაზე დაშვება შესაძლებელია 15 წუთით დაგვიანების შემთხვევაში, თუმცა გამოცდისთვის განსაზღვრული დროის ამოწურვის შემდეგ არ მოგეცემათ დამატებითი დრო ნაშრომის დასასრულებლად.
- გამოცდის დაწყებიდან 15 წუთის გასვლის შემთხვევაში გამოცდაზე აღარ დაიშვებით და ჩაგეთვლებათ არგამოცხადებად.
- თან იქონიეთ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოცდაზე არ დაიშვებით.
- გამოცდის დაწყებამდე გაიარეთ რეგისტრაცია, მიიღებთ სექტორისა და მაგიდის ნომერი და დარბაზში ადგილი დაიკავეთ რეგისტრაციის ნომრის მიხედვით. მაგიდის კუთხეში დადეთ პირადობის მოწმობა.
- გეკრძალებათ გამოცდაზე ნებისმიერი ნივთის შეტანა, გარდა საწერი კალმის, სასმელი წყლისა და ჯანმრთელობისათვის აუცილებელი ნივთებისა. ზედმეტი ნივთები ჩააბარეთ დამკვირვებელს.
- თქვენს მაგიდაზე არ უნდა იდოს არც ერთი ნივთი, გარდა პირადობის მოწმობის, საწერი კალმის, სასმელი წყლისა და ჯანმრთელობისათვის აუცილებელი ნივთებისა (ასეთის საჭიროების შემთხვევაში).
- წერის დაწყებამდე, სამუშაო მაგიდაზე რაიმე სხვა ფურცლის აღმოჩენის შემთხვევაში მიიღებთ გაფრთხილებას, გამოცდის დაწყების შემდეგ, ნებისმიერი სხვა დარღვევის (განმეორებით შენიშვნის მიღების, საგამოცდო საგნით განსაზღვრული თემატიკის მატარებელი ინფორმაციის შემცველი ნივთის,

მობილური ტელეფონის ან სხვა ელექტრონული ხელსაწყოს აღმოჩენის ან სარგებლობის) შემთხვევაში მოიხსნებით გამოცდიდან.

- გამოცდის ელექტრონულად ჩატარების შემთხვევაში დამკვირვებელი გაგაცნობთ თქვენს უფლება-მოვალეობებს, ელექტრონულ სისტემაში შესვლისა და გამოსვლის წესებს, ასევე ტესტის/თქვენი ვარიანტის პაროლს.
- გამოცდის დაწყებამდე შეამოწმეთ საგამოცდო ფურცლის/ელექტრონული საგამოცდო ტესტის ხარვეზიანობა და დაზიანების/გაუმართაობის არსებობის შემთხვევაში მიმართეთ დამკვირვებელს. საგამოცდო დროის ათვლის დაწყების შემდეგ, ასეთი პრეტენზია აღარ მიიღება.
- საგამოცდო ნაწერი შეასრულეთ დამკვირვებლის მიერ დარიგებულ საგამოცდო ფურცლებზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ნაშრომი არ გასწორდება.
- სახელი, გვარი, ფაკულტეტი, საგნის დასახელება და პედაგოგის სახელი და გვარი დაწერეთ საგამოცდო ფურცელზე, მხოლოდ მისათვის განკუთვნილ ადგილას.
- საგამოცდო ნაშრომი შეასრულეთ ლურჯი ფერის კალმით.
- დაუშვებელია საგამოცდო ფურცელზე მაიდენტიფიცირებელი ნიშნის (სახელი, გვარი, ნომერი, მისამართი და სხვა) ან რაიმე სახის ისეთი გრაფიკული გამოსახულების (ფიგურა, წარწერა და ა.შ.) დატანა, რომელიც დაკავშირებული არ არის ტესტურ დავალებასთან; საგამოცდო ფურცელზე რაიმე სახის მინიშნების აღმოჩენის შემთხვევაში თქვენი ნაწერი არ გასწორდება.
- დამკვირვებლის მიერ დარიგებული საგამოცდო ბილეთი არ გადაშალოთ მანამ, სანამ არ დაიწყება საგამოცდო დროის ათვლა.
- გამოცდის მსვლელობისას აუდიტორიიდან გასვლა შეგიძლიათ აუცილებლობის შემთხვევაში, გამოცდისათვის გათვალისწინებული დროის ნახევრის ამოწურვის შემდეგ, მხოლოდ 3 წუთის ხანგრძლივობით. აუდიტორიის დატოვების უფლება ყოველ მომდევნო სტუდენტს ექნება გასული სტუდენტის დაბრუნების შემდეგ. აღნიშნული დროის დარღვევის შემთხვევაში მოიხსნებით გამოცდიდან.
- თუ დროზე ადრე დაიწყებთ საგამოცდო ბილეთზე/ელექტრონულ ტესტზე მუშაობას, მიიღებთ გაფრთხილებას, მსგავსი ან ნებისმიერი სხვა დარღვევის განმეორების შემთხვევაში - მოიხსნებით გამოცდიდან.
- პროცედურული და ტექნიკური ხასიათის შეკითხვების შემთხვევაში მიმართეთ დამკვირვებელს. საგამოცდო საკითხებთან დაკავშირებულ შინაარსობრივი ხასიათის შეკითხვებზე პასუხი არ იქნება გაცემული.
- აკრძალულია გამოცდის პროცესის დროს საუბარი, გადალაპარაკება, ხმაური, ასეთ შემთხვევაში მიიღებთ გაფრთხილებას, მსგავსი ან ნებისმიერი სხვა დარღვევის განმეორების შემთხვევაში მოიხსნებით გამოცდიდან.
- აკრძალულია მობილური ტელეფონის ან სხვა ელექტრონული ხელსაწყოს, ასევე საგამოცდო საგნით განსაზღვრული თემატიკის მატარებელი ინფორმაციის შემცველი ნივთის გამოცდაზე შეტანა. ასეთ შემთხვევაში დაუყოვნებლივ მოიხსნებით გამოცდიდან.
- გამოცდიდან მოხსნის საფუძველი შეიძლება, გახდეს დისციპლინის სხვაგვარი დარღვევა/არაეთიკური ქცევა.
- საგამოცდო დროის ამოწურვამდე 15 წუთით ადრე დამკვირვებელი შეგატყობინებთ ამის შესახებ. თუ საგამოცდო დროის ამოწურვისთანავე არ შეწყვეტთ მუშაობას, თქვენი ნაშრომი არ გასწორდება;

- სამუშაოს დასრულების შემდეგ საგამოცდო ბილეთი და ფურცლები გადაეცით დამკვირვებელს და მოაწერეთ ხელი საგამოცდო ნაშრომის მიღება-ჩაბარების ჟურნალში.
- ელექტრონულად მიმდინარე გამოცდის შემთხვევაში ტესტის/გამოცდის დასრულების შესახებ აცნობეთ დამკვირვებელს, ნაშრომი წარადგინეთ და პროგრამიდან გამოდით დამკვირვებლის მეთვალყურეობის ქვეშ.

კვალიფიკაციის მინიჭება, დიპლომის/სერტიფიკატის გაცემა

სტუდენტის მიერ შესაბამისი საფეხურის კომპეტენციების გამომუშავების და პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების რაოდენობის დაგროვების შემდეგ, სტუდენტს ენიჭება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაცია.

სტუდენტის კვალიფიკაციის მინიჭება დასტურდება შესაბამისი საფეხურის დიპლომით;

დიპლომთან ერთად (მასწავლებლის მომზადების პროგრამის შემთხვევაში - სერტიფიკატი) გაიცემა დიპლომის დანართი კვალიფიკაციის მინიჭებიდან არაუგვიანეს სამი თვის ვადაში, თუ დასტურდება რომ მას არ აქვს უნივერსიტეტის წინაშე ფინანსური და სხვა სახის ვალდებულება;

საბაკალავრო/ერთსაფეხურიანი/სამაგისტრო პროგრამების კურსდამთავრებულს, რომლის GPA არის არანაკლებ 3.5-ისა გადაეცემა დიპლომი - წარჩინებით.

კურსდამთავრებულმა დიპლომისა/სერტიფიკატის და დიპლომის/სერტიფიკატის დანართის მისაღებად უნდა მოიწეროს განცხადება EEU-EL სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემიდან და განცხადების დადასტურების შემდგომ, უნდა მიმართოს სასწავლო პროცესის სამსახურს (ოთახი 206, ტელეფონი: 032 2 48 01 41)

თავი 3

სტუდენტის სასწავლო პროცესის მართვის ელ-სისტემა:

EEU-EL

სტუდენტის სასწავლო პროცესის მართვის ელ-სისტემა: EEU-EL

სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა - EEU-EL შექმნილია სასწავლო პროცესის ეფექტიანად დაგეგმვისა და სტუდენტთა ინფორმირების ხელშეწყობის

მიზნით.
EEU-EL აერთიანებს შემდეგ სერვისებს:

- ✓ **საინფორმაციო დაფა** - გზამკვლევები, სიახლეები, ანონსები, ტრენინგები/კონფერენციები;
- ✓ **სემესტრული ანგარიშები** - მოიცავს სტატისტიკურ მონაცემების დიაგრამების სახით გამოსახვას. მაგალითად, შესრულებული კრედიტები, სემესტრული GPA, სტუდენტთა აკადემიური მოსწრება და ა.შ.
- ✓ **ანკეტური მონაცემები** - სტუდენტების პირადი საქმეები ელექტრონულად, ბრძანებები,საკონტაქტო ინფორმაცია, განათლება/აქტივობები, CV-ის ბეჭდვა და ა.შ.
- ✓ **აკადემიური რეგისტრაციის გავლა** - სასწავლო კურსების არჩევა სტუდენტის მიერ;
- ✓ **შეფასებები** - საგნების მიხედვით შეფასების კომპონენტები, შეფასების ჟურნალი, მიღებული შეფასებების აპელაცია/ნაშრომის ნახვა, საბეჭდი ფორმები - ნიშნების ფურცელი
- ✓ **ცხრილი -** სასწავლო და საგამოცდო ცხრილი, კალენდარი (ღონისძიებები)
- ✓ **სასწავლო პროგრამა** - სილაბუსები, სასწავლო გეგმა (სტუდენტს შეუძლია ნახოს ინდივიდუალური გეგმა შესრულებული/შეუსრულებელი კურსების შესახებ და ა.შ.)
- ✓ **საფინანსო სერვისი** - გრანტები, ტრანზაქციები, სწავლის საფასურის გადახდის ინდივიდუალური გრაფიკის დისტანციურად გაფორმება და ა.შ)
- ✓ **გამოკითხვები -** გამოკითხვის კითხვარების ელექტრონულად შევსება
- ✓ **ბიბლიოთეკის სერვისი** - ელექტრონული სასწავლო მასალების EEU-EL-ში ატვირთვა დაწიგნების გამოწერა;
- ✓ **საკომუნიკაციო სერვისი ელექტრონულად** (სხვადასხვა სახის პირადი შეტყობინებების,დოკუმენტების მიღება და გაგზავნა)
- ✓ **შიდა მობილობა**
- ✓ **ცნობების ელექტრონულად მიღება**

ასევე, პაროლის შეცვლის, პროფილის გადართვის და სხვა ფუნქციები.

► **ნაბიჯი 1:** პორტალზე შესვლა - EEU-EL სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ პორტალზე შესასვლელად გადადით ბმულზე: https://stud.eeu-el.ge/ და ველებში ,,მომხმარებელი'' და ,,პაროლი'' ორივეგან შეიყვანეთ თქვენი პირადი ნომერი



► **ნაბიჯი 2:** მთავარი გვერდი

მთავარ გვერდზე შეგიძლიათ გაეცნოთ სასწავლო პროცესის ვადების შესახებ ინფორმაციას, გზამკვლევს, სიახლეებს...



► **ნაბიჯი 3: სასწავლო ბარათი**

მთავარ მენიუში **„სასწავლო ბარათი" მოცემულია** ინფორმაცია თქვენ მიერ ათვისებულ/რეგისტრირებულ საგნებზე, მიღებული შეფასებები, ყოველკვირეული შეფასებების ჟურნალი, GPA, შესრულებული კრედიტები





► ნაბიჯი 4: საგნებზე რეგისტრაცია, სასწავლო მასალა და სილაბუსი

კურსის სასწავლო მასალის ან სილაბუსის სანახავად მთავარ მენიუში დააჭირეთ ღილაკს *„საგნების არჩევა"* და ,,ძიების'' ღილაკით ნახავთ მიმდინარე სემესტრში შემოთავაზებულ კურსებს.

გაითვალისწინეთ, რომ 1-ელ სემესტრში საგნებზე რეგისტრაცია მოხდება ფაკულტეტის მიერ ავტომატური გენერაციით, ხოლო საგნის/ჯგუფის გადარჩევისთვის კი უნდა მიმართოთ ფაკულტეტს. ამასთანავე, საგნის არჩევისთვის- საჭიროა, დააჭიროთ პლუსის მწვანე სიმბოლოს.



არჩევის შემოდგმ ეტაპზე მონიშნეთ თქვენთვის სასურველი ჯგუფის ლექცია, სემინარი (რამდენიმე ჯგუფის არსებობის შემთხვევაში) და დააჭირეთ ღილაკს **„შენახვა, დახურვა"**



► ნაბიჯი 5: ცხრილი

სასწავლო ცხრილის (ლექცია–სემინარების დღე/დაწყება დასრულების საათი/აუდიტორია) სანახავად მთავარ გვერდზე (ძირითად პანელზე) მონიშნეთ ღილაკი „ცხრილი". ამავე გვერდზე თქვენ შეგიძლიათ ნახოთ საგამოცდო ცხრილი, დაგეგმილი ღონისძიებების კალენდარი



► ნაბიჯი 6: სასწავლო პროგრამა/კურიკულუმი

თქვენი სასწავლო გეგმა/კურიკულუმი სრულად შეგიძლიათ ნახოთ მთავარ მენიუში „სასწავლო პროგრამა"-ზე გადასვლით. სასწავლო პროგრამაში თქვენ შეგიძლიათ ნახოთ თქვენ მიერ სწავლის პერიოდში გასავლელი კურსების სრული ჩამონათვალი და ასევე, ის კურსები, რომლებიც უკვე შეასრულეთ.



► ნაბიჯი 7: ფინანსური მონაცემები

მთავარ მენიუში ,,ფინანსები'' მოცემულია ინფორმაცია სემესტრული საფასურის, თქვენი გადახდების, სახელმწიფო თუ შიდა საუნივერსიტეტო გრანტების და გადახდის გრაფიკის შესახებ.



► ნაბიჯი 8: კორესპონდენცია, ცნობები

კორესპონდენციიდან თქვენ შეგიძლიათ გააგზავნოთ შეტყობინებები ადმინისტრაციასთან, პედაგოგთან. გასცეთ პასუხი მიღებულ წერილებს, მოითხოვოთ სხვადასხვა კატეგორიის ცნობის დამზადება და ა.შ.



► ნაბიჯი 9: ანკეტური მონაცემები და პაროლის შეცვლა

ანკეტური მონაცემების განახლება და პაროლის შეცვლა შეგიძლიათ თქვენი პროფილის ფოტოზე დაკლიკებით, რომელიც მოცემულია მთავარი მენიუს ბოლოში.


სასწავლო მარათი
საგნების არჩევა
ცხრილი
მობილობა
სასწავლო პროგრამა
ფინანსები
ცნობები
GE
პროფილი
ანკეტა
საკონტაქტო ინფორმაცია
განათლება
ბრძანებები
მიმაგრებული დოკუმენტები
ანკეტა
სურათის ატვირთვა...
ფაილის არჩევა
ფაილი არ არი...
ატვირთვა
შენახვა
ID:
პირადი ნომერი:
სახელი, გვარი:
სახელი, გვარი (ლათინურად):
First name
Last name
დაბადების თარიღი:
სქესი:
მდედრობითი
ფაკულტეტი:
განათლების მეცნიერებები
საგანი:
მაგისტრატურა
ძირითადი პროგრამა:
განათლების კვლევები და ადმინისტრირება
სპეციალიზაცია:
მეორადი პროგრამა:
I
ჯგუფი:
Group 2024 B
სკოლის ატესტატის ნომერი:
სკოლის ატესტატის ნომერი
სამხედრო სტატუსი:
სამხედრო აღრიცხვის ადგილი:
სამხედრო აღრიცხვის ადგილი
ნიკის ქულა:
სემესტრი:
3
სტატუსი:
აქტიური
დამატებითი ანკეტური მონაცემები
მოქალაქეობა:

თავი 4

სტუდენტური სერვისები

- სტუდენტის უფლება-მოვალეობები და ომბუდსმენის ოფისი
- სტუდენტური თვითმმართველობა, კლუბები და საბჭოები
- საკონსულტაციო სერვისები
- კარიერული მხარდაჭერისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების სერვისები
- გაცვლითი პროგრამები
- ფინანსური მხარდაჭერის სერვისები (სტიპენდია, კვლევით და სტუდენტური პროექტების გრანტი, სწავლის საფასურის ეტაპობრივად გადახდის სისტემა)
- სამედიცინო მომსახურებისა და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის სერვისები
- სტუდენტური ცხოვრება
- დისტანციური სწავლების სერვისები
- ხელმისაწვდომობაზე მიმართული სერვისები - ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

სტუდენტის უფლება-მოვალეობები და ომბუდსმენის ოფისი

სტუდენტთა უფლებები

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტთა უფლებები განსაზღვრულია **„უმაღლესი განათლების შესახებ კანონით", „უნივერსიტეტის დებულებით", „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით", „გამოცდის ჩატარების წესით", „ეთიკის კოდექსით", „სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებით", ხელშეკრულებით**.

კერძოდ, სტუდენტს უფლება აქვს:

- მიიღოს უნივერსიტეტისგან საგანმანათლებლო მომსახურება და ხარისხიანი განათლება;
- მიიღოს მონაწილეობა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში;
- მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის მიერ დაგეგმილ აქტივობებში;
- თანაბარ პირობებში ისარგებლოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა რესურსებით;
- ისარგებლოს უნივერსიტეტის სტუდენტური სერვისებით;
- დააფუძნოს ან გაწევრიანდეს სტუდენტურ ორგანიზაციებში/კლუბებში საკუთარი ინტერესების შესაბამისად;
- მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში;
- პერიოდულად შეაფასოს აკადემიური პროგრამები, სასწავლო პროცესი, აკადემიური პერსონალი და სასწავლო კურსები, ასევე უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული სხვადასხვა სერვისი;
- ღიად და თავისუფლად გამოხატოს საკუთარი მოსაზრებები და შეხედულებები;
- მიმართოს სტუდენტური ომბუდსმენის ოფისს სტუდენტთა უფლებებისა და თავისუფლებების საკითხებზე მომსახურების მისაღებად;
- აირჩიოს წარმომადგენელი და არჩეულ იქნეს სტუდენტურ თვითმმართველობაში, წარმომადგენლობით საბჭოსა და ფაკულტეტის საბჭოში უნივერსიტეტში მოქმედი შიდა რეგულაციების შესაბამისად.
- მონაწილეობა მიიღოს აკრედიტაცია/ავტორიზაციის თვითშეფასების ჯგუფების მუშაობასა და საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესში;
- ისარგებლოს მობილობის უფლებით, დადგენილი წესის შესაბამისად;
- დაწეროს საჩივარი/განცხადება აკადემიური და ადმინისტრაციული ორგანოებისა და პერსონალის საქმიანობასთან დაკავშირებით;

- მოითხოვოს საგამოცდო ნაშრომის გაცნობა/აპელაცია და პედაგოგის მხრიდან უკუკავშირი, ასევე ნაშრომის სააპელაციო კომისიისათვის გადაცემა ,,გამოცდების ჩატარების წესით'' დადგენილი პროცედურების დაცვით;
- საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით, მიიღოს ინფორმაცია უნივერსიტეტის საქმიანობის შესახებ;
- განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებითა და ხელშეკრულებით მინიჭებული სხვა უფლებამოსილება.

დისტანციური სწავლების შემთხვევისთვის ასევე, შექმნილია ,,ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესისა'', ონლაინ ქცევის სახელმძღვანელოს **,,ნეტიკეტი''.** ,,ნეტიკეტში'' წარმოდგენილია ონლაინ ქცევის წესები, რომელთა შესრულება ევალება EEU-ს სტუდენტებსა და პერსონალს. აღნიშნული წესები შექმნილია სწორედ სტუდენტთა უსაფრთხოების დასაცავად. ,,ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესის'' თანახმად, **სტუდენტს აქვს უფლება:**

- მიიღოს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო მომსახურება დისტანციურად, წინამდებარე ელექტრონული სწავლების რესურსების გამოყენებით;
- მიიღოს დროული და სრული ინფორმაცია უნივერსიტეტში ელექტრონული სწავლების შესახებ;
- დროულად მიიღოს შესაბამისი ონლაინ ინსტრუქცია/გზამკვლევი და სხვა მასალები

  ელექტრონული რესურსების გამოყენების შესახებ, სასწავლო პროცესში შეუფერხებლად ჩართვის მიზნით;
- მიიღოს დროული და კვალიფიციური კონსულტაცია ელექტრონული სწავლების პროცესთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე;
- მიიღოს მონაწილეობა უნივერსიტეტში დაგეგმილ ექსტრაკურიკულურ აქტივობებში

  დისტანციურად;
- ისარგებლოს უნივერსიტეტის სტუდენტური სერვისებით დისტანციურად;
- ისარგებლოს უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო და საინფორმაციო რესურსებით;

- სწავლება-სწავლის პროცესში წარმოქმნილი ისეთი სირთულეების შემთხვევაში, რომელთა აღმოფხვრა შეუძლებელია, მოითხოვოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება;

საბიბლიოთეკო რესურსების სარგებლობის წესები და სტუდენტთა/მკითხველთა უფლებები უფრო კონკრეტულად რეგულირდება ,,ბიბლიოთეკით სარგებლობის ინსტრუქციით''. კერძოდ, სტუდენტს/მკითხველს უფლება აქვს:

- უფასოდ ისარგებლოს ბიბლიოთეკაში დაცული ნებისმიერი სახის საბიბლიოთეკო დოკუმენტით;
- გააგრძელოს წიგნისა და სხვა სახის დოკუმენტებით სარგებლობის ვადა დადგენილი წესით;
- მიიღოს სრული ბიბლიოგრაფიული ინფორმაცია და კონსულტაცია ბიბლიოთეკარებისაგან;
- ჩაატაროს ძიება საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენებით (ელექტრონული კატალოგები, ელექტრონული რესურსები);
- ისარგებლოს სამკითხველო დარბაზით, შეხვედრებისა და ჯგუფური მუშაობის, საინფორმაციო-ტექნოლოგიური აღჭურვილობის სივრცეებით;
- ისარგებლოს ინტერნეტში ჩართული კომპიუტერებით, პრინტერით, ასლის გადამღებით და სკანერის აპარატით;
- ჰქონდეს წვდომა სართაშორისო საბიბლიოთეკო ბაზებზე;

სტუდენტის უფლებები დისციპლინური საქმისწარმოებისას:

უნივერსიტეტის სტუდენტის აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში ქცევისა და ურთიერთობის წესები, ზნეობრივი პრინციპები და სტანდარტები, მათი დარღვევისთვის პასუხისმგებლობის ზომა და პროცედურები დადგენილია უნივერსიტეტის ,,ქცევის (ეთიკის) კოდექსით'', რომლის დაცვაც სავალდებულოა უნივერსიტეტში ჩარიცხული ყველა სტუდენტისათვის;

დისციპლინური წარმოების განხორციელება ხდება აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ქცევის (ეთიკის) კოდექსის შესაბამისად. სტუდენტის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის ფაქტზე დისციპლინურ წარმოებას ახორციელებს

შესაბამისი ფაკულტეტის საბჭო. დისციპლინური წარმოების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და ემყარებოდეს შესაბამის მტკიცებულებას.

დისციპლინური წარმოების განხორციელებისას საჩივრის ავტორ სტუდენტს უფლება აქვს:

- მიიღოს სრული ინფორმაცია წარმოების დაწყებისა და საკითხის განხილვის პროცესის მიმდინარეობის შესახებ;
- წარადგინოს მტკიცებულებები, დაესწროს საკითხის განხილვას და მონაწილეობა მიიღოს განხილვაში პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით;
- გაეცნოს მეორე მხარის პოზიციასა და მტკიცებულებებს; ასევე, საქმეში არსებულ სხვა მასალებს;
- დააყენოს აცილება განმხილველი ორგანოს წევრის/წევრების მიმართ;
- მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის მიერ მოპოვებული მტკიცებულებების გამოკვლევაში;
- გაასაჩივროს დისციპლინური წარმოების განმახორციელებელი ორგანოს გადაწყვეტილება.

დისციპლინური წარმოების განხორციელებისას სტუდენტს, ვის მიმართაც ხორციელდება დისციპლინური წარმოება, უფლება აქვს:

- მიიღოს წერილობითი შეტყობინება მის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყებისა და საქმის განხილვის პროცესის მიმდინარეობის შესახებ;
- წარადგინოს საკუთარი პოზიცია, მტკიცებულებები, მის ხელთ არსებული ინფორმაცია, იშუამდგომლოს ინფორმაციის/მტკიცებულების მოპოვებით/გამოთხოვის შესახებ;
- დააყენოს აცილება განმხილველი ორგანოს წევრის/წევრების მიმართ;
- დაესწროს ზეპირ მოსმენას, მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, დაიცვას საკუთარი უფლებები დამოუკიდებლად ან/და წარმომადგენლის მეშვეობით;
- მონაწილეობა მიიღოს მტკიცებულებების გამოკვლევაში;
- გაასაჩივროს დისციპლინურ წარმოებაზე უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილება.

ქცევის (ეთიკის) კოდექსით დადგენილი წესების დარღვევისთვის გათვალისწინებულია დისციპლინური **პასუხისმგებლობის შემდეგი ზომები:**

ა) შენიშვნა;

ბ) გაფრთხილება;

გ) მატერიალური ზიანის ანაზღაურების დაკისრება;

დ) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.

სტუდენტის მიერ აკადემიური პერსონალის თანდასწრებით გამოთქმული პირადი ინფორმაცია, ასევე ინფორმაცია საკუთარი შეხედულებების, რწმენისა და პოლიტიკური მრწამსის შესახებ, რომელიც ამ უკანასკნელისთვის ცნობილი გახდა სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, აგრეთვე ინფორმაცია სტუდენტის მიმართ დისციპლინური ღონისძიების გატარების შესახებ **კონფიდენციალურია,** გარდა იმ შემთხვევისა, თუ არსებობს სტუდენტის ნებართვა ან ადმინისტრაციის კანონიერი ინტერესი, დაიცვას სხვისი უსაფრთხოება და კანონით დაცული უფლებები.

სტუდენტური ომბუდსმენის ოფისი

სტუდენტური ომბუდსმენის ოფისი არის აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც 2020 წლიდან შეიქმნა. ოფისის საქმიანობის **მიზანია,** ხელი შეუწყოს სტუდენტთა ინტერესების, უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას, მათი დარღვევის ფაქტების გამოვლენასა და ასევე, დარღვეული უფლებების აღდგენას საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა ნორმატიული აქტებით დადგენილი წესის შესაბამისად; ომბუდსმენის ოფისი სტუდენტთა

უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ ატარებს საინფორმაციო და საგანმანათლებლო აქტივობებს/ღონისძიებებს (ტრენინგები, საჯარო ლექციები და ა.შ.);

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტური ომბუდსმენის ოფისის საქმიანობის **ძირითად პრინციპებს** წარმოადგენს დამოუკიდებლობა, კონფიდენციალობა, ნეიტრალიტეტი და მიუკერძოებლობა, კოლეგიალობა და მუშაობს საერთაშორისო ომბუდსმენის ასოციაციის (IOA) პრაქტიკის სტანდარტებით;

სტუდენტური ომბუდსმენის ოფისს ხელმძღვანელობს ომბუდსმენი, რომელიც:

- უნივერსიტეტის ფარგლებში ზედამხედველობს სტუდენტთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას;
- სტუდენტის უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის, შეზღუდვის, ფაქტებთან დაკავშირებით წარმოქმნილ კონფლიქტურ ურთიერთობებში მხარეებს შორის ასრულებს მედიატორის (შუამავლის) ფუნქციას და ხელს უწყობს ეფექტიან კომუნიკაციას;
- ავლენს სტუდენტთა უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის ფაქტებს და ხელს უწყობს დარღვეული უფლებებისა და თავისუფლებების აღდგენას;
- ეწევა საინფორმაციო და საგანმანთლებლო საქმიანობას (ტრენინგები, პრეზენტაციები, დისკუსიები და ა.შ.) სტუდენტთა უფლებებისა და თავისუფლებების მიმართულებით;
- ამოწმებს სტუდენტის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობას და რეაგირებს მათი დარღვევის ფაქტებზე როგორც მიღებული განაცხადების/საჩივრების საფუძველზე, ისე საკუთარი ინიციატივით;
- უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების საფუძველზე განიხილავს სტუდენტთა განცხადებებსა და საჩივრებს ისეთი ქმედების თაობაზე, რომელიც არღვევს სტუდენტის უფლებებს;
- უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის რეკომენდაციებისა და კონსულტაციების გაწევას, კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე, აწვდის ინფორმაციას უნივერსიტეტში არსებულ შესაბამის პროცედურებსა და რეგულაციებზე;
- სტუდენტებს აცნობს მათს უფლებებსა და მოვალეობებს, მათ შორის, განუმარტავს აპელაციის პროცედურებს, აძლევს ლეგალურ რჩევებს;

- შუამდგომლობს სტუდენტს უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულისგან ინფორმაციის მიღებასა და დეტალების გარკვევაში;
- ზრუნავს სტუდენტებისთვის კონფიდენციალური და კოლეგიალური გარემოს შექმნაზე;

ომბუდსმენის ოფისს აქვს უნივერსიტეტის ვებ საიტზე საკუთარი გვერდი (https://eeu.edu.ge/portfolio/studenturi-ombudsmeni/), სადაც სტუდენტებს შეუძლიათ ანონიმური განცხადების დაწერა, სტუდენტური ომბუდსმენის საქმიანობის შეფასების მიზნით კითხვარის შევსება; ასევე, განთავსებულია ინფორმაცია სტუდენტური ომბუდსმენის ოფისის საქმიანობის შესახებ, სტუდენტთა უფლებებისა და ინტერესების შესახებ სასარგებლო ბმულები და რესურსები (რეგულაციები, რომლებიც არეგულირებს სტუდენტთა უფლებებისა და ინტერესების დაცვას, გზამკვლევები და ა.შ.), ხშირად დასმული კითხვები, საკონტაქტო ინფორმაცია და ა.შ.

ომბუდსმენს შეუძლია, ხელი შეუწყოს კონფლიქტების დროულ იდენტიფიცირებასა და მის გადაჭრას, სანამ ის გამწვავდება. ომბუდსმენი ხელს უწყობს ეფექტიან კომუნიკაციას წარმოქმნილ კონფლიქტურ სიტუაციაში და ასრულებს მედიატორის (შუამავლის) როლს.

სტუდენტური თვითმმართველობა, კლუბები და საბჭოები

სტუდენტს უფლება აქვს, აირჩიოს წარმომადგენელი ან/და არჩეულ იქნეს სტუდენტურ თვითმმართველობაში, წარმომადგენლობით საბჭოსა და ფაკულტეტის საბჭოში.

- **სტუდენტური თვითმმართველობა**

  აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა უნივერსიტეტის შემადგენლობაში არსებული სტუდენტთა წარმომადგენლობითი ორგანოა, დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეულებითა და მართვის ორგანოებით, რომელიც ახორციელებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის დებულებითა და თვითმმართველობის დებულებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს როგორც უნივერსიტეტის შიგნით, ისე მის გარეთ.

  სტუდენტური თვითმმართველობის **ამოცანები და მიზნებია:**

ა) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, დაიცვას და წარმოადგინოს სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები როგორც უნივერსიტეტში, ისე მის ფარგლებს გარეთ;

ბ) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, ხელი შეუწყოს სტუდენტებს უფლებებისა და თავისუფლებების პრაქტიკულ რეალიზაციაში;

გ) დაეხმაროს სტუდენტებს მაღალკვალიფიციური განათლების მიღებაში, თვითრეალიზებასა და დამოუკიდებელი აზროვნების ჩამოყალიბებაში;

დ)დახმარება გაუწიოს სტუდენტებს სწავლის პერიოდში, პროფესიული უნარ-ჩვევებისა და კონკურენტუნარიან პროფესიონალად ჩამოყალიბებაში;

ე) ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის ინტეგრაციას ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში და მაქსიმალურად უზრუნველყოს ამ პროცესში სტუდენტთა მონაწილეობა;

ვ) ხელი შეუწყოს სტუდენტებში სამართლებრივი თვითშეგნების დონისა და კანონისადმი პატივისცემის ამაღლებას, დახმარება გაუწიოს საქართველოში დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებას და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას

დეტალები თვითმმართველობის შესახებ იხილეთ ბმულზე: https://eeu.edu.ge/

- **წარმომადგენლობითი საბჭო, ფაკულტეტის საბჭო**

სტუდენტები ჩართულნი არიან მმართველ ორგანოებში.

უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო არის უნივერსიტეტის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, დამოუკიდებელი მმართველი კოლეგიური სტრუქტურული ერთეული, რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის ეფექტიან მართვასა და განვითარებას, უზრუნველყოს უნივერსიტეტის სტრატეგიული საკითხების კოლეგიური გადაწყვეტა, უნივერსიტეტის მართვისა და საქმიანობის ღიაობა, გამჭვირვალობა და მასში საუნივერსიტეტო საზოგადოების ჩართულობა.

საბჭოში არჩეულ წევრ სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვრება 3 წევრით, უნივერსიტეტის თითოეული ფაკულტეტიდან თითო წევრი.

ფაკულტეტის მმართველი წარმომადგენლობითი ორგანოა ფაკულტეტის საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც შედის სტუდენტთა არჩეული 2 წევრი. სტუდენტი წევრები აირჩევიან სტუდენტთა თვითმმართველობის მიერ. საბჭოს შემადგენლობის

დაკომპლექტების წესი, პროცედურა, უფლებამოსილება და მუშაობის რეგლამენტი განისაზღვრება ფაკულტეტის დებულებით (იხ. ბმულზე: https://eeu.edu.ge/portfolio/maregulirbeli/)

კლუბები

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტთა სპორტული, კულტურული თუ შემეცნებით აქტივობის ხელშემწყობი შესაბამისი **კლუბები/გაერთიანებები:** Student Support Community (SSC) Club, Neurozeal Club, EEU Activity CLub, ახალგაზრდა მეცნიერეთა კლუბი, ხელოვნების კლუბი, Futsal-კლუბი, EEU Alumni Club, ფსიქოლიბრიუმი და სხვა. რომელშიც სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულები.

მოქმედ კლუბებში გაერთინებისთვის ან ახალი კლუბის ჩამოყალიბებისთვის დეტალები შეგიძლიათ იხილოთ სტუდენტური კლუბის დებულებაში: https://eeu.edu.ge/wp-content/uploads/2026/01/stud.-club-geo-09.01.2026.pdf

საკონსულტაციო სერვისები

სტუდენტები სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებასა და კარიერულ განვითარებაზე სათანადო კონსულტაციას/ინფორმაციას შეგიძლიათ მიიღოთ სხვადასხვა საშუალებით ((ელ ფოსტა, SMS-პანელი, ვებგვერდი, ინსტრუქცია/გზამკვლევები, პირისპირ და ონლაინ კონსულტაციები, სოციალური ქსელი და ა.შ.). კერძოდ:

- ✓ EEU-ს ახლად ჩარიცხულ სტუდენტთა საგანმანათლებლო სივრცეში ორიენტირებისა და ინტეგრირების, სასწავლო პროცესის ეფექტიანად დაგეგმვის მიზნით, განათლების დეპარტამენტი და შესაბამისი ფაკულტეტი ,,ერთი სარკმლის'' პრინციპით ყველა მათგანს უწევს კონსულტაციას. პირველსემესტრელებს განემარტებათ სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ წესები და რეგულაციები, სტუდენტთა უფლებები და მოვალეობები, საუნივერსიტეტო სერვისების შესახებ ინფორმაცია, ხდება სტუდენტთა ინტერესებისა და მოლოდინების კვლევა სპეციალური კითხვარების საშუალებით, რომელთა ანგარიშები ეგზავნება შესაბამის დეპარტამენტებს შემდგომი რეაგირების მიზნით.
- ✓ **საინფორმაციო თემატური შეხვედრები სტუდენტებთან,** რომლის ფარგლებშიც მიიღებთ ინფორმაციას უნივერსიტეტში მოქმედი სხვადასხვა სერვისების შესახებ და ასევე, ადმინისტრაციის წარმომადგენლები ისმენენ თქვენს მოსაზრებებს, რეკომენდაციებს სასწავლო პროცესსა და უნივერსიტეტში მიმდინარე სხვა საკითხებთან დაკავშირებით;
- ✓ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის **(EEU-EL)** მეშვეობით შესაძლებლობა გაქვთ, გარდა სასწავლო გეგმის, საგამოცდო ცხრილებისა და

შეფასებების ნახვისა, აწარმოოთ მიმოწერა ადმინისტრაციასთან, პედაგოგთან – მოითხოვონ სხვადასხვა სახის დოკუმენტი ან გაგზავნონ განაცხადი შუალედური/დასკვნით გამოცდის აღდგენის ან მიღებული შეფასების აპელაციის მიზნით. გარდა ამისა, EEU-EL საშუალებას იძლევა მიიღოთ ინფორმაცია მიმდინარე სიახლეებზე, ნახოთ სემესტრული ანგარიშები და ა.შ.

- ✓ სტუდენტებთან კომუნიკაციისათვის გამოიყენება პირადი/კორპორატიული ელ–ფოსტა, სატელეფონო შეტყობინება, სოციალურ ქსელებში შექმნილი ოფიციალური ჯგუფები. ასევე, EEU–ს **ცხელი ხაზი** საშუალებას გაძლვთ სტუდენტებს მარტივად დაუკავშირდეთ შესაბამის სამსახურს და მიიღოთ სასურველი ინფორმაცია.
- ✓ *საკომუნიკაციო* ***SMS MSG პლატფორმის საშუალებით (EEU.EDU.GE) იღებთ შეტყობინებებს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე*** (ლექციის აღდგენა/გაცდენა/გადატანა, საკონსულტაციო შეხვედრა, შეხსენებები სხვადასხვა მიმდინარე საკითხებზე და ა.შ.)
- ✓ უნივერსიტეტი Microsoft-ის ოფიციალური პარტნიორია და იყენებს MICROSOFT TEAMS Office 365 A1 ლიცენზირებული მძლავრ საკომუნიკაციო პლატფორმას. **TEAMS** - ში შექმნილია შესაბამისი სამსახურების ვირტუალური საკონსულტაციო ოთახები. ამასთანავე, Microsoft Teams გაძლიერებული ელექტრონულ პლატფორმა აერთიანებს მიმოწერის, შეხვედრების (ონლაინ ინტერაქციული ლექციები), ფაილების გაცვლის სერვისებს, AI და ანტიპლაგიატის (Turnitin) პროგრამაში ნაშრომების შემოწმების და სხვა აპლიკაციებს.
- ✓ უნივერსიტეტის ვებგვერდი [**https://eeu.edu.ge**] - შესაძლებლობა გაქვთ კონსულტაციის მისაღებად გამოიყენოს უნივერსიტეტის ვებგვერდის ,,Online Chat''. ასევე, ვებგვერდზე თავსდება როგორც განხორციელებული, ისე დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია - კონფერენციები, სხვადასხვა ქვეყნების სტიპენდიები, გაცვლითი პროგრამები, საჯარო ლექციები და სხვა.

უნივერსიტეტის ვებგვერდის განახლება მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს. ვებგვერდზე ასევე გამოქვეყნებულია **გზამკვლევი სტუდენტებისთვის,** რომელშიც დეტალურად და ნათლადაა აღწერილი სასწავლო პროცესთან და საუნივერსიტეტო აქტივობებთან დაკავშირებული საკითხები, საუნივერსიტეტო მხარდამჭერი სერვისები და ა.შ შესახებ ინფორმაცია.

პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან საკონსულტაციო საათები – სწავლის პროცესში პროფესორ/მასწავლებლებს გაწერილი აქვთ როგორც სალექციო/სასემინარო, ისე საკონსულტაციო განრიგი, თითოეული სტუდენტს, საჭიროების შემთხვევაში, საშუალება აქვს მიიღოს კონსულტაციები. გარდა აღნიშნულისა, სტუდენტს აქვს უფლება, კონსულტაციისთვის ლექტორს მიმართოს ელ–ფოსტით ან-სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის პირადი გვერდიდან (EEU-EL). სტუდენტს სასწავლო პროცესის მანძილზე ელექტრონული საფოსტო მიმოწერის გზით საჭირო ინფორმაციის მიღების საშუალება აქვს მისი ნებისმიერი ლექტორისაგან - ყოველი სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებულია იმ ლექტორთა საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონის ჩათვლით), რომლებიც უძღვებიან ამა თუ იმ საგნის სალექციო კურსს, სემინარებს, სამუშაო ჯგუფებს და სხვა.

კარიერული მხარდაჭერისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების სერვისები

დასაქმება და სტაჟირება უნივერსიტეტის პარტნიორ 300-ზე მეტ ორგანიზაციაში, შიდა საუნივერსიტეტო სტაჟირების სერვისი; ტრენინგები, სასერტიფიკატო კურსები, ვორკშოპები და სასწავლო ვიზიტები საერთაშორისო პარტნიორ უნივერსიტეტებში;

უწყვეტი განათლებისა და სტუდენტური სერვისების ცენტრი სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და კარიერულ ზრდის ხელშეწყობის მიზნით, ახორციელებს:

- ✓ პოტენციური დამსაქმებლების მუდმივ მოძიებას და მათთან ინტენსიური თანამშრომლობას;
- ✓ სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ინტერესების, სპეციალობების, ცოდნისა და გამოცდილების გათვალისწინებით, შესაფერისი ვაკანსიების, სტაჟირების შესახებ ინფორმაციის მოძიებასა და ინფორმაციის მიწოდებას;
- ✓ სტუდენტებისთვის/კურსდამთავრებულებისთვის პირველადი კონსულტაციების გაწევასა და კარიერული ზრდის ხელშეწყობის მიზნით სპეციალური ტრენინგ-კურსების დაგეგმვას კარიერული განვითარების საკითხებზე; საჭიროების შემთხვევაში მათთვის დახმარების გაწევა სააპლიკაციო დოკუმენტებთან დაკავშირებით;
- ✓ სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისათვის დასაქმებასთან და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებული ღონისძიებების (მაგალითად, დასაქმების ფორუმების, თემატური, პროფორიენტაციის შეხვედრების და ა.შ.) დაგეგმვასა და განხორციელებას;
- ✓ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ ბაზის შევსება/განახლებას (მაგალითად, ინფორმაცია მათი დასაქმების სტატუსის, პროფესიის მიხედვით დასაქმების, დამსაქმელი ორგანიზაციისა და პოზიციის, სწავლის შემდგომ საფეხურზე გაგრძელების შესახებ)
- ✓ **არაფორმალური განათლების სერვისები.** პროფესიული ზრდის, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებისა და განვითარების ხელშეწყობის მიზნით, EEU-ს უწყვეტი განათლების ცენტრი აორგანიზებს უწყვეტი განათლების კურსებს/ტრენინგებს/ვორქშოპებს და ა.შ. (დეტალები იხ. ბმულზე: https://eeu.edu.ge/llc/)

EEU-ში შეგიძლიათ ისარგებლოთ **შიდასაუნივერსიტეტო ანაზღაურებადი სტაჟირების** პროგრამით, რომელიც ითვალისწინებს ფაკულტეტებსა და ადმინისტრაციულ სამსახურებში სტუდენტების სტაჟირებას მათზე მორგებული გრაფიკით. ინფორმაცია სტაჟირების შესახებ ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

უნივერსიტეტის პარტნიორ ორგანიზაციები იხ. ბმულზე: https://eeu.edu.ge/portfolio/partniori-organizaciebi/).

გაცვლითი პროგრამები, Erasmus+

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის თითოეულ სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა საუნივერსიტეტო სტიპენდიითა და ექსკლუზიური პირობებით მიიღოს მონაწილეობა გაცვლით პროგრამებში, საზაფხულო და ზამთრის სკოლებში დიდი ბრიტანეთის, აშშ-სა და ევროპის სხვა ქვეყნების უნივერსიტეტებში.

გაცვლითი პროგრამები საშუალებას გაძლევთ ისწავლოთ მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში, გაეცნოთ სწავლის განსხვავებულ მეთოდებს, ახალ კულტურას, შეიძინოთ მეგობრები და დაამყაროთ კავშირები მსოფლიო მასშტაბით.

Erasmus+ პროგრამის საერთაშორისო კრედიტ მობილობა მოიცავს: სტუდენტების მობილობას 3-დან 12 თვემდე, სწავლების სამივე საფეხურზე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა); მობილობის ფარგლებში სრულად ანაზღაურებადია სწავლისა და მგზავრობის (საქართველო – პროგრამის ქვეყანა – საქართველო) ხარჯები. სტუდენტებს ასევე გადაეცემათ ყოველთვიური სტიპენდია 800-900 ევრომდე (ევროპული (პროგრამის) ქვეყნის სიძვირის მიხედვით). ხოლო საქართველოში ჩამომსვლელი სტუდენტებისთვის სტიპენდია შეადგენს სტანდარტულად 700 ევროს თვეში.

საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი უნივერსიტეტის ვებგვერდზე და EEU-EL-ის საინფორმაციო დაფაზე მუდმივად აქვეყნებს ინფორმაციას გაცვლითი პროგრამებისა და საზაფხულო/ზამთრის სკოლების შესახებ, რომლებსაც EEU-ს საერთაშორისო პარტნიორი უნივერსიტეტები თუ ორგანიზაციები სთავაზობენ უნივერსიტეტის სტუდენტებს.

დაინტერესებული სტუდენტები დადგენილ ვადებში უნდა დარეგისტრიდნენ და გამოაგზავნონ შესაბამისი განაცხადი საერთაშორისო ურთიერთობის სამსახურში.

სტიპენდიანტთა შერჩევა განხორციელდება ღია კონკურსის წესით. კერძოდ, შერჩევის პროცესი ხორციელდება 3 ეტაპად: დოკუმენტაციის შემოწმება; გამოცდა ინგლისურ ენაში, გასაუბრება

სხვა დეტალები იხ. ბმულზე: https://eeu.edu.ge/portfolio/exchange1/

ფინანსური მხარდაჭერის სერვისები (სტიპენდია, კვლევით და სტუდენტური პროექტების გრანტი, სწავლის საფასურის ეტაპობრივად გადახდის სისტემა)

სოციალურ-ეკონომიკურ და სოციალურად მოწყვლად სტუდენტთა მდგომარეობის გათვალისწინებით EEU ახორციელებს სხვადასხვა მხარდამჭერ ღონისძიებებს:

- სწავლის **საფასურის გადახდის ეტაპობრივი სისტემა** - უნივერსიტეტში სწავლის საფასურის გადახდის სქემისა და მექანიზმების შესახებ ინფორმაცია არის გამჭვირვალე და მოქნილი, ამ მიმართულებით სტუდენტებს მომსახურებას/კონსულტირებას უწევს სპეციალურად გამოყოფილი პირი და

ამასთანავე, EEU-EL-ის მეშვეობით სტუდენტებს ავტომატურად აესახებათ ეტაპობრივ გადახდებზე ინფორმაცია

- უნივერსიტეტის რექტორი საკუთარი ინიციატივით ან ფაკულტეტის, სტუდენტური თვითმმართველობის მიმართვის საფუძველზე ახორციელებს სხვადასხვა სახის ინდივიდუალურ წამახალისებელ ღონისძიებებს (გრანტი, სტიპენდია და ა.შ.)
- სტუდენტისთვის საუნივერსიტეტო სტიპენდია **- 600 ლარის ოდენობით**
- სასწავლო გრანტი (ოქროს და ვერცხლის მედალოსნებისთვის)
- უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს **„სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესი"**, რომელიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა სტუდენტური ინიციატივების მაქსიმალურად მხარდასაჭერად, სამეცნიერო კვლევებისთვის სათანადო პირობებისა და მოტივაციის შექმნის, კვლევით და კულტურულ-სპორტულ აქტივობებში ჩართულობის, ინტელექტუალური პოტენციალის მიზნობრივი გამოყენების მიზნით. **უნივერსიტეტი მხარს უჭერს და აფინანსებს სტუდენტთა პროექტებს/ინიციატივებს. ერთი სტუდენტური სამეცნიერო-კვლევითი პროექტისთვის უნივერსიტეტისგან მოთხოვნილი დაფინანსება არ უნდა აღემატებოდეს 5000 (ხუთი ათას) ლარს, ხოლო კულტურულ/სპორტული პროექტის შემთხვევაში - არ უნდა აღემატებოდეს 3000 (სამი ათას) ლარს.**

იხ. „სტუდენტთათვის სტიპენდიის გაცემისა და წახალისებების წესი"

იხ. „სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესი",

სამედიცინო მომსახურებისა და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის სერვისები

სამედიცინო მომსახურების სერვისები - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტები სარგებლობენ უფასო სამედიცინო დაზღვევის სერვისით „მედისონის" კლინიკებში (დეტალური ინფორმაცია <u>იხ. ბმულზე).</u>

სტუდენტთა ფსიქოლოგიური მხარდაჭერის სერვისი. სტუდენტებს უფასო ფსიქოლოგიურ მომსახურებას/კონსულტაციას სთავაზობს. მომსახურება განკუთვნილია იმ სტუდენტებისთვის, რომელთაც აქვთ შფოთვა, დაქვეითებული გუნებ-განწყობა, უჭირთ სხვადასხვა სახის სტრესთან გამკლავება (მაგალითად, სირთულეები სოციალურ სიტუაციებში, ინტერპერსონალურ ურთიერთობებში), შიშები და სხვა. კონსულტაცია ითვალისწინებს როგორც ინდივიდუალურ, ისე ჯგუფურ შეხვედრებს და ამ მიმართულებით სტუდენტებს მომსახურებას უწევენ EEU-ს ფსიქოლოგიისა და ნეირომეცნიერებების კვლევითი ცენტრის **"ლაბორატორია Z"**- ის სპეციალისტები.

ხელმისაწვდომობაზე მიმართული სერვისები - ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის, ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხული ან გაცვლით პროგრამაში მონაწილე, მობილობით/შიდა მობილობით გადმოსული, აკადემიური ჩამორჩენილობის ან განსაკუთრებული აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტებისთვის უნივერსიტეტი შეიმუშავეს **ინდივიდუალური სასწავლო გეგმას.**

ისგ-ს შემუშავების წესი საჯაროა და გამოქვეყნებულია უნივერსიტეტის ვებ გვერდზე: https://eeu.edu.ge/portfolio/instruqciebi-tsesebi/

დისტანციური სწავლების სერვისები

EEU–ში საგანგებო სიტუაციაში დისტანციური სწავლება შესაძლებელია განხორციელდეს Microsoft Teams-ის გაძლიერებული პლატფორმისა და სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული პლატფორმის (EEU-EL) გამოყენებით.

უნივერსიტეტი Microsoft-ის ოფიციალური პარტნიორია, ფლობს Microsoft Global Training და Microsoft Gold Partner სტატუსებს და დისტანციური სწავლების პროგრამას Office 365 A1 ლიცენზირების ფარგლებში ახორციელებს. უნივერსიტეტში შექმნილია ელექტრონული სწავლების განვითარებისა და ტექნიკური მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც დისტანციური სწავლების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, სტუდენტებისა და პერსონალისთვის შეიმუშავებს შესაბამის ინსტრუქციებს (სახელმძღვანელოები, ვიდეო-გზამკვლევები), ატარებს ტრენინგებს და კონსულტაციებს, ზრუნავს ელექტრონული სწავლების რესურსების დანერგვა/გაუმჯობესებაზე და ელექტრონული სწავლების მხარდამჭერი სერვისების განვითარებაზე.

სტუდენტური ცხოვრება

სპორტულ-კულტურული, ინტელექტუალურ თუ შემეცნებითი, სოციალური და საქველმოქმედო ღონისძიებები;

საჯარო შეხვედრები სხვადასხვა სფეროში წარმატებულ და ცნობილ ადამიანებთან; სტუდენტური კლუბები (ხელოვნების კლუბი, ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბი, Movie Club, EEU Alumni Club, Neurozeal Club, Student Support Community (SSC) Club),

სტუდენტური თვითმმართველობა და ომბუდსმენის ოფისი...

EAST
EUROPEAN
UNIVERSITY

East
European

თავი 5

ბიბლიოთეკა

ბიბლიოთეკა

- ✓ აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას გააჩნია საჭირო ინვენტარით აღჭურვილი სამკითხველო დარბაზები, სხვადასხვა ენაზე ხელმისაწვდომი მრავალფეროვანი წიგნადი და არაწიგნადი ფონდი (სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურა, პერიოდული გამოცემები, საცნობარო გამოცემები, ელექტრონული რესურსები და ა.შ)
- ✓ მკითხველს შესაძლებლობა აქვს ისარგებლოს უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო კოლექციებით, სამკითხველო და კომპიუტერული დარბაზებით, პრინტერით, ასლის
- ✓ გადამღებითა და სკანერით, უკაბელო ინტერნეტით, ჯგუფური მუშაობის სივრცეებით, ელექტრონული ბიბლიოთეკით, სამეცნიერო ელექტრონულ ბაზებზე უფასო წვდომით;
- ✓ უნივერსიტეტის კორპორატიული ელ-ფოსტის მფლობელ მკითხველს შესაძლებლია
- ✓ სამეცნიერო ელექტრონული ბაზებითა და ელექტრონული ბიბლიოთეკით ისარგებლოს,
- ✓ როგორც ადგილზე, ასევე სხვა ტერიტორიიდან, ხოლო დანარჩენ მკითხველს, მხოლოდ უნივერსიტეტის სივრცეში;
- ✓ მკითხველმა სამკითხველო დარბაზში საბიბლიოთეკო რესურსით სარგებლობის მიზნით, ბიბლიოთეკის თანამშრომელს უნდა წარუდგინოს უნივერსიტეტის მიერ გაცემული სტუდენტის/თანამშრომლის ბარათი; წიგნით სარგებლობის დასრულების შემდეგ, მკითხველი ვალდებულია ბიბლიოთეკის თანამშრომელს დაუბრუნოს წიგნი, რის შემდეგაც მკითხველს უბრუნდება სტუდენტის/თანამშრომლის ბარათი;
- ✓ საბიბლიოთეკო რესურსის მკითხველზე გაცემა/არ გაცემა დამოკიდებულია მასალის კატეგორიაზე, ეგზემპლარების რაოდენობაზე და მოთხოვნის სიხშირეზე;
- ✓ უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო რესურსით სარგებლობისთვის, მკითხველი ვალდებულია გაეცნოს ბიბლიოთეკის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ სარგებლობის წესებს

ბიბლიოთეკის მუშაობის განრიგი:

- ორშაბათი - პარასკევი: 10:00-20:30 საათი;
- შაბათი: 10:00-18:00 საათი;

ელექტრონული კატალოგის გამოყენების ინსტრუქცია:

გადადით ბმულზე: https://eeu.edu.ge/lib/opac/index_geo.php და მოძებნეთ თქვენთვის საინტერესო მასალა შესაბამისი ავტორის/სათაურის/თემატიკის/შიფრის/საძიებო ფრაზის მითითებით.

სასარგებლო ბმულები:

საერთაშორისო მონაცემთა ბაზები: https://goo.gl/DjjhyL
ბიბლიოთეკით სარგებლობის ინსტრუქცია: https://eeu.edu.ge/

საკონტაქტო ინფორმაცია:
EEU.Lib@eeu.edu.ge , (032) 2 41 01 48

აღმოსავლეთ
ევროპის
უნივერსიტეტი

ი.ენუქიძის ქ. 6 (აშშ საელოჩოს მიმდებარედ)

Info@eeu.edu.ge

032 2 48 01 41